## საგადახდო მოთხოვნა #00143 *(დამტკიცებული ხაზინაში)*

| | | | |
|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 06 02 04 04 | დასახელება | განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა |
| ვალდებულების # | 0019 | მოთხოვნის საფუძველი | მიღება-ჩაბარების აქტი; 36-1; 27/03/2016 — 0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდი | 2.2.10.12 | თანხა ლარებში | 100.00 | თანხა სიტყვით | ასი ლარი |

| | |
|---|---|
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | 237113850 |
| დასახელება | სსიპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | 237114092 |
| დასახელება | ამხანაგობა ამხანაგობა "ტკბილი სახლი" |
| მიმღების ბანკის კოდი | UGEBGE22 |
| დასახელება | ქ.თბილისი, სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" |
| ანგარიშის # | GE98VT4300000000093606 — საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: |
| გადახდის დანიშნულება | კულტურული ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი) -2016 |

თარიღი 14/04/2016

| | | |
|---|---|---|
| *მოთხოვნის დამატება:* | თეა კვირკველია | 14/04/2016 16:23 |
| *მოთხოვნის დამოწმება:* | თეა კვირკველია | 14/04/2016 16:24 |
| *მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:* | ზეგლარ სიორიძე | 14/04/2016 16:24 |
| *მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | თეა კვირკველია | 14/04/2016 16:24 |
| *მოთხოვნის მიღება:* | ნანული გოგიაშვილი | 14/04/2016 16:28 |
| *ბანკში გაიგზავნა:* | | 14/04/2016 16:49 |

ტრანზაქცია განხორციელებულია

# ვალდებულების დოკუმენტი

*(დამტკიცებული ხაზინაში)*

1. ვალდებულების დოკუმენტი #: **19**

2. სახაზინო კოდი და დასახელება: 06 02 04 04

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა

3. საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება: 237113850 - სსიპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

4. ვალდებულების საფუძველი: ხელშეკრულება #: 36; თარიღი: 21.03.2016

5. მომწოდებელი (საიდენტიფიკაციო კოდი): 237114092

6. მომწოდებელი (დასახელება): ამხანაგობა ამხანაგობა "ტკბილი სახლი"

დაფარვის წყარო: 428_მერის_ბრძ._11/04/2016_მიმდინარე_თვითმართველობის სარეზერვო ფონდი

(თანხა ლარებში)

| ნაწილი I: ივსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი | CPV კოდი | მომსახურების სახე | წარდგენილი ვალდებულება | დადასტურების თარიღი |
| 2.2.10.12 კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები | 15800000 სხვადასხვა საკვები პროდუქტი; 15812200 ნამცხვრები; | კულტურული ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი) | 100.00 | 14/04/2016 |
| | | სულ ჯამი: | **100.00** | |

| | | |
|---|---|---|
| *ვალდებულების დამატება:* | თეა კვირკველია | 14/04/2016 15:43 |
| *ვალდებულების დამოწმება:* | თეა კვირკველია | 14/04/2016 15:43 |
| *ვალდებულების გაგზავნა middle-ოფისში:* | ბეგლარ სიორიძე | 14/04/2016 15:43 |
| *ვალდებულების გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | თეა კვირკველია | 14/04/2016 15:43 |
| *ვალდებულების დამტკიცება:* | ნინო კაპანაძე | 14/04/2016 16:19 |

GEORGIA STATE TREASURY 1995

**14/04/2016**

მიღებულია

N 914 17/03/2016

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსს, ბატონ ზესიკ მელუას
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური დაცვის
განყოფილების უფროსის თამარ დუმბაძის

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

**ბატონო ზესიკ,**

მოგახსენებთ, რომ 21 მარტი გამოცხადებულია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ. ამ დღის აღსანიშნავად იგეგმება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დაუნის სინდრომის მქონე პირთა ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებაში და თითოეული პირისთვის სასაჩუქრე პაკეტის გადაცემა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რათა გამოიყოს თანხა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სადღესასწაულო ტორტისთვის და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 8 მოქალაქისთვის 50 ლარიანი სასაჩუქრე პაკეტის გადასაცემად.

1. კუპრაძე ბორისი პ/ნ 33001051975;
2. ორაგველიძე გიორგი პ/ნ 33001019154;
3. ბიკბულატოვი მალხაზი პ/ნ 33350001022;
4. გორდელაძე ერეკლე პ/ნ 33601085573;
5. შავიშვილი მიხეილი პ/ნ 33001034712;
6. დოლიძე ირაკლი პ/ნ 33001058800;
7. გუჯაბიძე მარიამი პ/ნ 33650000312;
8. დოლიძე ერეკლე პ/ნ 33901085279.

ტორტი, ტკბილი სასმელები და ფერადი ბურთები 150 ლარი;
საერთო ჯამი 550 ლარი.

პატივისცემით,

თამარ დუმბაძე

განყოფილების უფროსი

სოციალური დაცვის განყოფილება

# მიღება-ჩაბარების
# ა ქ ტ ი №36-1

ქ. ოზურგეთი 21 მარტი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნმა - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა თამარ დუმბაძემ და ამხანაგობა „ტკბილი სახლი"-ს დირექტორმა ლელა ბასილიამ შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე:

2015 წლის 21 მარტის №35 ხელშეკრულების შესაბამისად, შ.პ.ს. „მოდერნი 2009"-მ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მოაწოდა 2016 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღონისძიების მოსაწყობად ერთი ერთეული ტორტი.

მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახედების ჩათვლით, რაზედაც ხელს ვაწერთ:

ჩავაბარე: /ლ. ბასილია/

ჩავიბარე: /თ. დუმბაძე/

# ხელშეკრულება №36

ქ. ოზურგეთი 21 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ვიცე-მერის, ალეკო ბურჭულაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ამხანაგობა „ტკბილი სახლი", წარმოდგენილი დირექტორის, ლელა ბასილიას სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ხელშეკრულების საგანია 2016 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღონისძიების მოსაწყობად ერთი ერთეული ტორტის შესყიდვა.

1.2. CPV კოდი: 15812200 - ნამცხვრები.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

2.2. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს **100 (ასი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალსწინებული გადასახადების ჩათვლით.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2016 წლის 21 მარტი.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაოს (ეტაპის) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი თამარ დუმბაძე.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

6.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, რის დამადასტურებლადაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების (შესრულებული სამუშაოს) აქტი და ფორმა №2, რის შემდეგაც ანგარიშსწორება მოხდება 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან მიმართებაში.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- სამუშაოების პარალელურად მისი ძალებითა და სახსრებით სამუშაო მოედანი გაათავისუფლოს სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების 30 კალენდარული დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების 9.5. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ჯარიმა - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

8.7. დამრღვევი მხარე ვალდებულია პირგასამტეხლო თანხა გადაიხადოს შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

## 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი თამარ დუმბაძე.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა; ორი პირი ინახება შემსყიდველთან, ერთი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 მაისამდე.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | ამხანაგობა „ტკბილი სახლი“ |
| იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 | მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ; |
| საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850 | საიდენტიფიკაციო კოდი: 237114092 |
| ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ | ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. |
| ბანკის კოდი: UGEBGE22 | ბანკის კოდი: UGEBGE22 |
| ა/ა GE85VT 4300 0000 0004 3303 | ა/ა GE98VT 4300 0000 0009 3606 |
| *ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი:* | *ამხანაგობა „ტკბილი სახლი“- დირექტორი:* |
| *ა. ბურჭულაძე* | *ლ. ბასილია* |

OZURGETI CITY MUNICIPALITY HALL GEORGIA 237113850

# საქართველო
# ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-47-40 №1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-47-40


N 428
17/03/2016

428-01-4-201603171649

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის №56 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლის შესაბამისად*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**მუხლი 1.** მიმდინარე წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დანართი N1-ის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს თანხა 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 2**. დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გადარიცხოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული თანხა შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

დანართი N1

## ხარჯთაღრიცხვა:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე 8 მოქალაქისთვის:

1. კუპრაძე ბორისი პ/ნ 33001051975;
2. ორაგველიძე გიორგი პ/ნ 33001019154;
3. ბიკბულატოვი მალხაზი პ/ნ 33350001022;
4. გორდელაძე ერეკლე პ/ნ 33601085573;
5. შავიშვილი მიხეილი პ/ნ 33001034712;
6. დოლიძე ირაკლი პ/ნ 33001058800;
7. გუჯაბიძე მარიამი პ/ნ 33650000312;
8. დოლიძე ერეკლე პ/ნ 33901085279.

50 ლარის ღირებულების სასაჩუქრე პაკეტის შეძენა - სულ 400 ლარი;

2. ტორტის, ტკბილი სასმელებისა და ფერადი ბურთების შეძენა - სულ 150 ლარი

**ჯამში: 550 ლარი.**

# საქართველო
## ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
## ადმინისტრაციული სამსახური

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-47-40 №1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-47-40


N 919

17/03/2016

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ბეგლარ სიორიძეს

### მოხსენებითი ბარათი

**ბატონო ბეგლარ,**

მოგახსენებთ, რომ 21 მარტი გამოცხადებულია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ. ამ დღის აღსანიშნავად იგეგმება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დაუნის სინდრომის მქონე პირთა ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებაში და თითოეული პირისთვის სასაჩუქრე პაკეტის გადაცემა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რათა გამოიყოს თანხა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სადღესასწაულო ტორტისთვის და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 8 მოქალაქისთვის 50 ლარიანი სასაჩუქრე პაკეტის გადასაცემად.

1. კუპრაძე ბორისი პ/ნ 33001051975;
2. ორაგველიძე გიორგი პ/ნ 33001019154;
3. ბიკბულატოვი მალხაზი პ/ნ 33350001022;
4. გორდელაძე ერეკლე პ/ნ 33601085573;
5. შავიშვილი მიხეილი პ/ნ 33001034712;
6. დოლიძე ირაკლი პ/ნ 33001058800;
7. გუჯაბიძე მარიამი პ/ნ 33650000312;
8. დოლიძე ერეკლე პ/ნ 33901085279.

ტორტი, ტკბილი სასმელები და ფერადი ბურთები 150 ლარი;
საერთო ჯამი 550 ლარი.

პატივისცემით,

ბესიკ მელუა

სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური